საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება №1335

თბილისი „01“ 12 2016

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 იანვრის N134 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „მ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2014 წლის 14 ნოემბრის N910889 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 იანვრის N134 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკურ და უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტებს ამ ბრძანების შესრულებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

თამარ სანიკიძე

დანართი

დამტკიცებულია:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2014 წლის 01 დეკემბერი №1335 ბრძანებით

სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს

(პროგრამული კოდი – 32 04 03 03)

2014 წელი

მუხლი 1. პროგრამის მიზანი და აქტუალობა

1. პროგრამა „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" (შემდგომში - პროგრამა) ემსახურება სტუდენტთა სასწავლო პროცესებში აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობას და წახალისებას.
2. პროგრამის მიზანია პროგრამაში ჩართული სსიპ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (შემდგომში - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სწავლის მოტივაციის ამაღლება და მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.
3. პროგრამაში ჩართულია ის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა დამფუძნებლად განსაზღვრულია სახელმწიფო, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

მუხლი 2. პროგრამის მოქმედების ვადა

პროგრამა მოქმედებს 2014 წლის განმავლობაში.

მუხლი 3. პროგრამის დაფინანსება

1. პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტი.
2. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 4 100 000 ლარით.
3. პროგრამაში ჩართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გამოეყოფათ ასიგნებები ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად.
4. პროგრამის ფარგლებში ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები 2014 წელს სტიპენდიებით უზრუნველყოფილი იქნებიან იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის, ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში.
5. პროგრამაში ჩართულ, მე-7 მუხლით განსაზღვრულ თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 2014 წლის იანვრის და თებერვლის თვეების ასიგნებები გამოეყოფა 2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%-ის სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად, თითოეული სტუდენტისთვის 150 ლარის ოდენობით თვეში, „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 15 თებერვლის №51 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 12 ნოემბრის №885 ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართის მე-10 მუხლის შესაბამისად.

6. პროგრამაში ჩართულ, მე-8 მუხლით განსაზღვრულ თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 2014 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეების ასიგნებები გამოეყოფა 2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრში ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%-ის სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად, თითოეული სტუდენტისთვის 150 ლარის ოდენობით თვეში.
7. პროგრამაში ჩართულ, მე-9 მუხლით განსაზღვრულ თითოეულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას 2014 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეების ასიგნებები გამოეყოფა 2014-2015 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%-ის სტიპენდიებით უზრუნველსაყოფად, თითოეული სტუდენტისთვის 150 ლარის ოდენობით თვეში.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების მექანიზმი

თითოეულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის ან დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა საერთო რაოდენობა განისაზღვრება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 5. გადაწყვეტილება დაფინანსების მინიჭების შესახებ

1. სტიპენდიანტთა შერჩევას თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის განსაზღვრული სტუდენტთა ოდენობისა და დაფინანსების მოცულობის ფარგლებში ახორციელებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. შერჩევის კრიტერიუმი, რომელიც მტკიცდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, უნდა ეფუძნებოდეს: სტუდენტის აკადემიურ მოსწრებას, მონაწილეობას სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა.
2. სტიპენდიით დაფინანსების უფლების მქონე პირთა განსაზღვრა ხორციელდება ყოველი სემესტრის დასაწყისში, გასული სემესტრის მონაცემების საფუძველზე.

მუხლი 6. სტიპენდიის შეწყვეტა

1. პროგრამაში ჩართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტიპენდიის მფლობელი სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტისას სტიპენდიის გაცემა შეწყდება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისათვის სტიპენდიის სახით დანიშვნის შესახებ.

მუხლი 7. პროგრამაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის 2014 წლის იანვრის და თებერვლის თვეებში გამოყოფილი ასიგნებები

N	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობა	2013-2014 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სტიპენდიანტთა რაოდენობა	თანხა ერთ თვეში (ლარი)	თანხა ორი თვის განმავლობაში (ლარი)
1	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	20 030	801	120 150	240 300
2	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	6 431	257	38 550	77 100
3	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	10 724	429	64 350	128 700
4	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	7 636	305	45 750	91 500
5	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 401	56	8 400	16 800
6	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	15 980	639	95 850	191 700
7	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	552	22	3 300	6 600
8	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 113	45	6 750	13 500
9	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2 382	95	14 250	28 500
10	სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტი	1 708	68	10 200	20 400
	სულ	67 957	2 717	407 550	815 100

მუხლი 8. პროგრამაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის 2014 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში გამოყოფილი ასიგნებები

N	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობა	2013-2014 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სტიპენდიანტთა რაოდენობა	თანხა ერთ თვეში (ლარი)	თანხა ხუთი თვის განმავლობაში (ლარი)
1	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	19 484	779	116 850	584 250
2	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	6 801	272	40 800	204 000
3	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	10 434	417	62 550	312 750
4	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	7 265	291	43 650	218 250
5	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 304	52	7 800	39 000
6	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	14 792	592	88 800	444 000
7	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	552	22	3 300	16 500
8	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 106	44	6 600	33 000
9	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2 405	96	14 400	72 000
10	სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტი	1 661	66	9 900	49 500
	სულ	65 804	2 631	394 650	1 973 250

მუხლი 9. პროგრამაში ჩართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის 2014 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში გამოყოფილი ასიგნებები

N	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება	2014-2015 სასწავლო წლის პირველ სემესტრში უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობა	2014-2015 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სტიპენდიანტთა რაოდენობა	თანხა ერთ თვეში (ლარი)	თანხა სამი თვის განმავლობაში (ლარი)
1	სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	19 148	766	114 900	344 700
2	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	6 739	270	40 500	121 500
3	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	12 219	489	73 350	220 050
4	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	7 735	309	46 350	139 050
5	სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 127	45	6 750	20 250
6	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	17 288	692	103 800	311 400
7	სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	457	18	2 700	8 100
8	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 081	43	6 450	19 350
9	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2 447	98	14 700	44 100
10	სსიპ - გორის სასწავლო უნივერსიტეტი	1 567	63	9 450	28 350
	სულ	69 808	2793	418 950	1 256 850

მუხლი 10. პროგრამის მონიტორინგი და პროგრამაში ჩართული ორგანიზაციების ვალდებულებები

1. პროგრამის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველო.

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარმოადგინოს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის ფარგლებში სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

მუხლი 11. პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამული კოდი	დასახელება	2014 წელი
32 04 03 03	სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს	4,100,000.0
	ხარჯები	4,100,000.0
	სხვა ხარჯები	4,100,000.0